

ი. 26


3

7. 25

2. 27

ხელოვნება

1921 წ. იანვარი, № 3.



დედა

მ. კიაურელის ქანდაკება.

ვალერიან გაფრინდაშვილი.

*თეატრის საკრებულო
გამართლებს
1921.5.1*

თეატრი-ციცანკი.

თეატრი არის ცხოვრების სარკე და ეკვივალენტი. მაგრამ სხვა პარალელიც შეიძლება: თეატრი არის ცხოვრების გარდაქმნა და ფერისცვალება. ბოლოს და ბოლოს ყოველი შემოქმედება არის ნიღაბი. თეატრი ცხოვრების ნიღაბია. ყოველივე ის, რაც ხელოვნება არის, სინამდვილის გარეშე სდგას და სინამდვილებს არ ემორჩილება. ხელოვნება იმეორებს ცხოვრებას, მაგრამ ის, რაც ხელოვნების სარკეში ჩნდება, სასტიკი ირონიით უცქერის თავის ორიგინალს. ასეთია სინამდვილის ბედი: იყოს წყარო და ნიადაგი ხელოვნების და იმავე დროს მისი მასხურის როლს თამაშობდეს. თუ ჩვენი ქვეყანა ანარეკლია—ის უნდა გატარდეს ოცნების განსაწმენდელში, რომ მან მიიღოს პირველყოფილი ნამდვილი სახე. ირონია ორეულის—მიმართული ორიგინალის წინააღმდეგ აუცილებელია: რაც სარკეში ჩნდება, ის ყოველთვის უფრო იდეალურია, ვიდრე ის, რაც სარკის წინ დგას. ხალხით გავსებული თეატრი და მოელვარე სცენა მომქმედი პირებით—იღუმალია. დაიკეტება თეატრის კარები, აიხდება ფარდა, რომელიც ჩვენი ბავშობის ძვირფას მოგონებას შეადგენს და იწყება ფანტასმაგორია. სცენაზე ვხედავთ მსახიობებს, რომელნიც ჩვენი საკუთარი აჩრდილები არიან. ამ დროს იბადება ერთი ილიუზია: თითქო თეატრი ხომალდია და ჩვენ ყველა მივექანებით ზღვის უფსკრულში. ყოველი ჩვენგანი კატასტროფის წინაღობას განიცდის თეატრში. ჩვენ ვიცით: როდესაც „ტიტანიკს“ უბედურება ეწვია—ამ დროს გემზე წარმოდგენა მიდგოდა და „ტიტანიკის“ არისტოკრატია ალბად წინდაწინვე გრძობდა თავის საბედისწერო განაჩენს. თეატრი—ტიტანიკია. ხანდისხან თეატრი კიდევ იზიარებს „ტიტანიკის“ ბედს. თეატრში ცეცხლი ჩნდება. რომელი ტრაგედია შეედარება ცეცხლმოკიდებულ თეატრს, სადაც გამმაგებული ხალხი თავის თავს შველის, მაგრამ კვამლში და ცეცხლში იღუპება. თეატრის საფუძველი წარსულში იყო რელიგია—ანტიური

ტრაგედია და ქრისტიანული მისტერია შორს იდგენ ყოველ-
ღლიურ საკითხებიდან, ღმერთებზე ლაპარაკობდენ და უკვდა-
ვებას ანიჭებდენ ხალხს.

როდესაც თქვენ თეატრში შედიხართ, იცოდეთ, რომ თქვენ
ნიადაგი გამოგეცალათ ფეხებიდან და თქვენ წყალზე დგახართ.
როდესაც თქვენ თეატრში უცქერით ჰამლეტს, მეფე ლირს,
თქვენ გრძნობთ რომ თეატრი თავისი აუდიტორიით ტორტმა-
ნობს, როგორც მთვრალი ხომალდი. თეატრი არის მინიატი-
ურა დედამიწის, რომელიც სხვა პლანეტებთან ერთად აღვირ-
ახსნილი დაეხეტება მსოფლიოში.

თეატრი რეალური არ არის. ის ნამდვილი სივოლოციაა ჩვენი
მშვენიერი და საშინელი ცხოვრების.

მაყურებელის როლი თეატრში დიდია: თითქო ის, რაც ხდება
სცენაზე, მისი საკუთარი გალიუკინაცია არის. საყურადღებოა
ერთი მომენტი: დარბაზი სავსეა ხალხით, მაგრამ ფარდა, რამპით
განათებული ჯიუტობს და არ უნდა დაგვანახოს ახალი სამყარო.

- 2 თეატრმა ჟეკველად შეჰქმნა ფარდის ლეგენდა! ო, ეს ჭირვეული
ფარდა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, როგორც საიქიოს დარა-
ჯი. ეს ფარდა მაცდურია და ის ხშირად გვატყუებს, როგორც
მესსალინა, მაგრამ ჩვენ ფარდის მარადი რომანტიკოსები და რა-
ინდები ვართ. თეატრის ფარდა, როგორც სასწაულის წინამორ-
ბედი, ღირსია ჰიმნის და ოდესმე პოეტი შექმნის ფარდის პოე-
მას. დაუვიწყარია ფარდის კანკალი და მისი საოცარი შრიალი,
როდესაც ის მალლა ადის, ან ძირს ეშვება მომაკვდავი გედის
სიმღერით. იხსნება ფარდა და პარტერი პირისპირ დგას სცენის
უფსკრულთან.

თანამედროვე თეატრმა ბერძნული ხოროს როლი თვით მაყუ-
რებელს დაავალა. აქ შეიძლება კიდევ სხვა შედარება: ჩვენ—
მაყურებელნი მომქმედი პირების თავაზიანი სეკუნდანტები ვართ
— იმიტომ რომ ყოველი პიესა არის ქეშმარიტი დუელი ჰამლე-
ტის და ლაერტის შორის. სცენა ჩვენ გვადელვებს ისე, თითქო
მას კავშირი არ ქონდეს წარმავალ ცხოვრებასთან. მაყურებელი
სომნამბულას ჰგავს, რომელიც კარგავს სინამდვილის გრძნობას
და აკრობატივით ჰაერში გაბმულ სინაზე მიდის.

ბევრი ფარდები უნდა აიხსნას და ბევრი სცენა უნდა გავიაროთ, სანამ მივალწვედეთ უკანასკნელ ფარდამდი და უკანასკნელ სცენამდი. თეატრი, როგორც სარწმუნოება, იმედია უფრო ბრწყინვალე წარმოდგენის და კულისები ლაბირინტია, რომელსაც მივყავართ საიქიოში.

თეატრში არის ერთი პირ-უტყვი მონაწილე—დეკორაცია. დაბერავს ქარი და დეკორაციებს, როგორც იალქნებს მიჰყავთ ხომალდი უცნობ ქვეყანაში. ძველი დეკორაციები ჰაერში კიღია—თეატრის თავანზე, მათ სამეფოში სიბნელეა, მაგრამ დეკორაციებში იმალება სამუშის ძალა. ეს დეკორაციები ვეებერთელა ფრინველებივით არიან მიჯაჭვული თავის ანძებზე და იმათ ესიზმრება წარსული სპექტაკლები. თუ თეატრი ხომალდია, ამ ხომალდის კაპიტანი არის რეჟისორი, მეზღვაურნი არიან აქტიორები და მგზავრები—მაყურებელნი. რეჟისორი არ მოსჩანს, თუმცა ის, როგორც ჯადოქარი, განაგებს მთელს წარმოდგენას. ერთი პოეტი თავის მონოლოგში ამბობს: „ამაყ სენიორად გამოწყობილი, მე მოველოდი სცენაზე გამოსვლას, მაგრამ რეჟისორის შიგდომით ხუთი საუკუნით დამაგვიანდა“. აქ პოეტს რეჟისორად თვით ღმერთი გამოჰყავს.

სცენა და პარტერი ერთი მეორეს ხიბლავენ და ეხმარებიან. აღსანიშნავია ორი მომენტი, რომელნიც ისაზღვრებიან ფარდის ტრანსფორმაციით. როდესაც ფარდა აფრინდება მძიმე შრიალით, თეატრში ელექტრო ქვრება, მაყურებელნი ერთმანეთს ვერ ხედავენ და ყველას მიპყრობილი აქვს თვალები სცენისთვის. ამ დროს პარტერი გაფითრებულ სახეებით ფანტასტიურია არანაკლებ, ვიდრე სცენა. თითქო თეატრი სხვანაირდება. თეატრის გუმბათში გამოჩნდება სავაოფი, ქანდარიდან იყურებიან ანგელოზები. ლოჯაში სხედან ამალით დედოფალი და მეფე, რომელმაც უკვე გადააგდო ზღვის უფსკრულში შილლერის თასი. პარტერი დარაზმულია ტურნირისათვის გამზადებულ რაინდებით და პაჟებით.

ბევრი სიყვარული იწყება და თავდება ამ სიჩუმეში, როდესაც ჩვენ თითქო უსხეულო ვართ. როცა ეშვება ფარდა, ყველა სიამოვნებით უბრუნდება ანტრაქტის სინამდვილეს. ჩვენ

დავიღალეთ და გვინდა სინათლეში ახალი ძალები მოვიპოვოთ, რომ ვუყუროთ ოტელლოს ტანჯვას. ჩვენი თანტაზია ფრთადაშვებული ისვენებს. მაგრამ ანტრაქტი თავდება და ჩვენ ისევ გადავდივართ მეორე სამყაროში. ისევ დაქიმული ნერვები, ისევ სიჩუმის და საბნელის ეკზოტიკა, ისევ ხომალდის ტორტმანი ტალღებზე. ახლა დეზდემონა შეწყალებას თხოვს ოტელოს; ჩვენ—მაყურებელნი გავშავდებით, როგორც უღმობელი მაფრი, ჩვენი დები და სატრფოები ფითრდებიან, როგორც დეზდემონა. ჰამლეტში მოწვეული აქტიორები თამაშობენ, რომ პრინცისათვის ცხად ჰყონ მეფის დანაშაული. აქ არის თეატრი თეატრში. აქ არის სიზმარი სიზმარში. ჩვენ მაყურებლები ვგრძნობთ, როდესაც თეატრში თეატრს ვხვდებით, რომ ჩვენს ზურგს უკან არიან უხილავი თვალები, რომელნიც ტკბებიან ჩვენი აშფოთებით, როგორც ჯაშუშები. თითქო ჩვენს უკან და წინ სარკეები დგანან თანამგზავრ ორეულებით. მოკარნახე აჩქარებული ჩურჩულით სიტყვებს ესვრის მსახიობებს. 4 სადარაჯო კანდელი შორს არის და მოქანცული აქტიორები, როგორც მარიონეტები, იმეორებენ სიბილლას სიტყვებს. მაგრამ ზღვაზე ამოვარდება დელვა. მოკარნახე ჩქარობს, რომ პიესას დასასრული მისცეს, მაგრამ ხომალდი იძირება და სიკვდილის წინ ამოჰყობს თავს გაბრაზებულ მორვეიდან. როცა თავდება წარმოდგენა, ჩვენ ხომალდიდან ჩამოვდივართ, ვტოვებთ პოეზიის ზღვას და სინამდვილის ხმელეთს ვუბრუნდებით.

თანანედროვე თეატრი ვერ სარგებლობს იმ აღმოჩენებით, რომელნიც მოიტანა ახალმა ცხოვრებამ და ახალმა პოეზიამ. არტურ რემბოს ცხოვრებიდან ავტორს შეუძლია შექმნას დიდებული ტრაგედია. ვერლენი, ედგარ პო, ჩატერტონი, ლაფორგი, ჟერარ დე ნერვალი, უალდი მომავალი ტრაგედიის გმირები არიან და თავის ესხილებს მოელიან. არ კმარა მხოლოდ მეტერლინკის ლირიკული ტრაგედიები. დადგა დრო, როდესაც ლირიკის ვიზიონარულმა ხილვამ და თვით პოეტის პიროვნებამ უნდა გადასწყვიტონ თეატრის ბედი. ტრაგედია არის ყველაზე უფრო მაღალი საფეხური ხელოვნების — ეს ტრაგედია უნდა აღორძინდეს — მაგრამ ახალი გმირებით და ეს იქნება თეატრი — ტიტანიკი.



შალვა დადიანი და ლადო მესხიშვილი.

შალვა დადიანი

ლადო მესხიშვილი.

5

აი სილამაზე მოუწყინარი, აი სიმშვენიერე ფერ-წაუშლელი. ეს თანამედროვეთათვის.

შთამომავლობისათვის კი რა რჩება?

— მხოლოდ ორიოდ ფერ-მკრთალი მოგონება და... კიდევ ერთი ბედნიერება: კინემატოგრაფიული სურათები, სადაც ლადოს მშვენიერი, ჯადოსნური თვალები კვლავ სიცოცხლით გაიღვარებენ, მისი საუცხოვო, კლასიკური თავის მოყვანილობა, ხელახლა ჩვენ თვალწინ მარმარილოს ქანდაკათ ჩამოიძვრება. მხოლოდ...

ვაი რომ ამ სურათებით არ დახასიათდება ლადოს დიდი, მსახიობური ტემპერამენტი, ლადოს საცვიფრელი, მაღალი ნიჭი არტისტობისა.

ის, რაც ჩვენ გვიყვარდა ლადოში, რა ტიპებსაც მან შეგვაჩვია თვისი ნიჭიერი სახის ამეტყველებით მის სიცოცხლეში, სამუდამოთ მიეფარა თვალს, საუკუნოთ დაიღუპა შთამომავლობისათვის.

და ეგ სურათებიც... კინემატოგრაფიული არა საუკუნო,
დროებითია, ხრწნადი და წარმავალი.

სოლემანის არ იყო: „ესა ყოფილა კაცის დიდება!“
განსაკუთრებით მსახიობისთვის.

ეს ქეშმარიტება ბავშვებმაც კი იციან ეხლა.

მხოლოდ ლადო ჩვენთვის უკვდავია, როგორც აღინიშნა კიდევ,
მიტომ რომ — მისი სული არ მოკვდება ქართულ თეატრში ე.
ი. მისი ტრადიცია სადრამო ხელოვნებისა, მისი დიადი მანერა
მსახიობობისა, მისი ფერადები, მისი ღონისძიებანი ტიპთა გან-
სახიერებისა.

მართალია აქტიურობას არა აქვს თავისი „მათემატიკური“ კა-
ნონები, თითქო ისე თვალში მოსავარდნი, მაგრამ ის, რაც
გაუკვლევიათ რჩეულ მსახიობთ ადამიანის რთულ ფსიქიურ
ლაბირინთის გამოსახვაში, ისიც ერთ-გვარი კანონმდებლობაა
და ლადო ხომ უსათუოდ რჩეული იყო, უსათუოდ კანონმდე-
ბელი, უსათუოდ მამათმთავარი სადრამო ხელოვნების ხორც-
ასხმულობისა ჩვენს თეატრში.

6

თუ ჩვენ ამიერიდგან კომიკური გზები ჩვენის თეატრის ვასო
აბაშიძიდან უნდა დავიწყოთ, სადრამო მსვლელობაშიაც ლადოს
ხელოვნების ფართო ეზოდან უნდა გამოვიდეთ.

მაშასადამე არასოდეს არ გვაწყენს თუნდა მკრთალი გახსენებაც
ლადოს მიერ შექმნილ იმ ზოგიერთ სახეებისა, რომელიც ასე
გვატყვევებდა მის თანამედროვეებს აგერ ოცი, ოცდახუთი
წელიწადია, რაიც ასე გვხიბლავდა, რამაც ეგრე მოგვაჯადოვა.
დავიწყოთ უფრო დავიწყებულ სახეებიდან:

უმნიშვნელო პიესა, ნაძალადევი მელიორამა რუსი ავტორის,
რაკშანიჩისა — „გულის ტქმა“.

ლადო — ტამილინი. ეს რუსის „მოდღვენებული“ ინტელიგენტი.
შესახედაობა მწყაზარი, წაბლის ფერი კოხტა წვერები, ლამა-
ზი, კოკობა უღვაშები, თვალებში მელანქოლია, სახე ფერ-
მიხდილი, მოქანცული, გამოცდილი მანერები. მოწყენილობა
სახლში. გულ-გრილობა ცოლთან. სქესობრივი აღტკინება მეზო-
ბელ ქალისადმი. პატოლოგიური სიყვარული.

და აი მესამე მოქმედება:

ლადო-ტამილინი მოდის მეზობელ ქალთან რანდევზე, სრული სიმშვიდე სხეულში, სახეზე. შედის ქალის საწოლ ოთახში და ახრჩობს მას (კულისებში).

მაგრამ საქმე მისი გამოსვლაა. ეს მწყაზარი კაცი, ეს ხელთათმანებიანი და ცილინდრიანი ადამიანი თმა-აბურძგნული, „გალსტუკ“-მორღვეული, სახელოვან გადაკაპიწებული გიჟივით გამოარბის იმ ოთახიდან, სადაც ესეთი საშინელი დანაშაული ჩაიდინა და რა არ წერია მის თვალეზზე. ო, ეს თვალეზი, ლადოს საარაკო თვალეზი!.. სიხარული, რომ უინი აისრულა, მოჰკლა ის ადამიანი, რომელიც ჰგონია, რომ უნდა მოეკლა, შიში, რომ შეიძლება ვინმემ შემოუსწროს და გამომჟღავნდეს მისი დანაშაული, ერთგვარი გამოუთქმელი გრძობა ზიზღისა, რომ მან ყოვლად „წესიერმა“ და ზრდილმა-კაცმა ესეთი „უშვერი“ საქმე ჩაიდინა, ყოველივე ეს ერთსა და იმავე დროს ერთი და იმავე სიძლიერით გამოთქმული, მაგრამ აი ბოლოს და ბოლოს ყოველივეს ჩრდილავს აღელვება ფიზიკური, შიში ინსტიქტიური, მხოლოდ თქვენ ატყობთ, რომ ცივი გონება სასტიკათ ებრძვის „მოჯრილ“ გრძობებს და თანდათან ამშვიდებს სხეულის თრთოლვას. აი ლამაზმა კაცმა უწინარეს ყოვლისა გაისწორა სახელოები, „გალსტუკი“, სერთუკი, თმები, მივიდა მაგიდასთან, ჩამოასხა ჭიქაში სურიდან წყალი. და აქ მოგესმით როგორ რაკუნებს ლადო ტამილინის ხელში ჭიქა ლამბაქზე. ეს ისე ბუნებრივია, ისეთი დიდი ხელოვნური სიმარტოვით გადმონაცემი, რომ თქვენ გჯერათ ყოველივე ეს. თქვენ ამ უამად თითქო თანაზიარი გახდით დიდი დამნაშავის სულიერი განცდისა და აი თქვენც თითქო ლადოსთან ერთად თანდათან ჰპოვებთ სულიერ სიმშვიდეს, იცვამთ ხელთათმანებს, იხურავთ ცილინდრს, პაწია წკეპლაც, სადღაც სკამზე მიგდებული, ისიც კი არ დაგვიწყებიათ და სრულიად გონს მოგებულები, დამშვიდებული გადიხართ ამ ჯოჯოხეთურ სახლიდან, საცა ესეთი მოუშორებელი ლაქა მოგეცხოთ თქვენი სინილისის წინაშე მაინც. გადიხართ ჰაერზე, ბაღში, რომელიც სრულიად დაგამშვიდებთ და გამოგაფხიზლებთ.

დიახ, გახველით ამ სახლიდან ე. ი. ჯადოქარი ლადო გავიდა და ეს მხოლოდ მაშინ იგრძენით, როდესაც მისი საყვარელი

ნაკვთი მიგეფარათ თვალთაგან, მაშინ მიხვდით, რომ თეატრში იყავით და... აი სხვებთან ერთად ტაშით ავუგუნდით.

ეს იყო მაღალი ხელოვნება. თუ ვიქტორ ჰიუგო ამბობს, რომ ძნელია ადამიანის სულში ჩახედვა და მით უფრო დამნაშავის სულშიო, ეს ლადომ საოცარის ხელოვნებით და ბუნებრიობით მოახერხა და საშინელ უფსკრულში, დამნაშავე ადამიანის სულში ერთის განათებით ჩავახედათ, ვაგიშუქათ ეს ბნელი კუთხეც, რომელიც უთუოდ თქვენს ბუნებასაც თან ახლავს და მით გაზიარათ მარადიულ ტალღებს დაავადებულ ფსიქიკისას და ამითი ლადომ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა მოწინააღმდეგებს, რომელთაც არა სჯერათ მსახიობის ხელოვნებაც, დიდათ მაღალია. ამისათვის მიუტევებთ ლადოს, რომ სხვათრივ ესეთი ტლანქი პიესა დაგიდგათ. ლადოს ხელში მესამე მოქმედება იყო სრული გამომსყიდველი რუსი-ავტორის უხეშობისა.

მაგრამ ავერ რობერტი ჰაუპტმანის „ავადმყოფ ხალხში“. ეს ავ-ზნიანი ნერვების პატრონი ჭაბუკი. მისი განუყრელი მოკლე ჩიბუხი პირში და უდროოთ ჩამქნარი, ჩაყვითლებული ახალგაზდა სახე. აქაც უმწვერვალეს გაანხლების შემდეგ ნერვიული ანთება ჩიბუხისა, ასანთი რომ ხშირ-ხშირ უქრება და აკანკალებულ ხელის გამო ცეცხლი თამბაქოს კი არა ხვდება არამედ ხან ტარს ჩიბუხისას ხან ძროს, ან ხან სულ აცილებს. აქაც ბუნებრიობა, აქაც ხელოვნური სიმარტივე. მარტო ამ ჩიბუხის ანთების საცქერლათ უნდა მოსულიყავით.

მაგრამ ეხლა სულ სხვა მხარე მისი გამომსახველობისა. პრინცი „იაკობინელებში“. ეს სულ უმნიშვნელოა და აქ მხოლოდ გარეგნობაზეა საქმე: ლადოს თეთრი თმა შავად ქცეულა, კიდევ უფრო დაკულულებული, უღვაშები მხოლოდ ამწვანებია და მოსხლეტილ ვაჟკაცს შვენის შოტლანდური აბჯარ — მოსილება. მარტო მისი შემოსვლა! ძალაუნებურათ ტაშს უკრავთ ამ დარდიმანდათ მომავალ ჭაბუკ-პრინცს. რამდენი მიმზიდველობაა, რა ეშხი და სანდომიანობა. ამისთანა პრინცს ქალები უსათუოდ შეიყვარებენ და ჭაბუკები მისთვის თავს დასდებენ. სხვა არაფერიც არ არის საჭირო ამ როლისათვის. თუნდაც არაფერი სთქვას.

თუნდა შემდეგ მოქმედებებში სულ ნუ იმოქმედებს. ტიპი უკვე შექმნილია.

ლა რომელი ერთი.

შეგრამ, მივიდეთ უფრო ახლოს, იმ მწვერვალზე, რომელზეც ეგრე ამაყათ იდგა ლადო და რა მწვერვალზე ჩვენ ყველაზე უფრო გვიყვარდა.

აქ უწინარეს ყოვლისა შევხვდებით „ურიელ აკოსტას“.

ჩემის ფიქრით ეს იყო ლადოს მიერ ყველაზე უფრო დამთავრებული და ყველაზე უნაზესი შენაქმი.

ლადოს შეიძლება არ დაეთანხმოთ როლის გაშუქებაში. აკოსტა ავტორის აზრით უწინარეს ყოვლისა მოაზროვნეა, ფილოსოფოსი და მისი ტრაგედიაც ამ აზროვნების კონფლიქტშია მოთავსებული. მე მინახავს ადელჰეიმი. ამ როლში ის სწორეთ ამ აზროვნულ მხარეს აქცევდა ყურადღებას. მინახავს გრიმი ცნობილ გერმანელ მსახიობის ბარნაისა. გრიმზე უფრო ფილოსოფიური მეტყველებაა აღბეჭდილი და მე მგონია ავტორსაც სასიყვარულო ინტრიგა პიესაში მხოლოდ ეპიზოდურათ აქვს შეტანილი, რომ პიესა მშრალი არ იყოს.

ლადო კი სულ სხვა გვარ სჯიდა და ჩვენ შეიძლება „დოქტრინერებს“ გვაპარცხებდა კიდევ თავის მსჯელობით. მან უკეთ იცოდა, რომ განყენებული ნაკლებ აჩქაროლებს გულს. ისიც სასიყვარულო მხარეს როლისას უსვამდა ხახს.

ამის დამამტკიცებელია ლეონიდ ანდრეევის ორი პიესაც; „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ და „Gaudeamus“-ი. ორივე თითქმის ერთსა და იმავე თემაზე, რომ გვაჩვენოს 90 წლების რუსის სტუდენტობის ყოფა-ცხოვრება და ზნეობრივი ავლა-დიდება.

„Gaudeamus“-ში, ჩემის ფიქრით, მეტი ტრაგედიაა, უფრო მეტი ხელისმოსმითაც არის სტუდენტების ცხოვრება გამოხატული. ხალხს კი „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“ უფრო მოსწონს. „ოლა და კოლას“ სასიყვარულო ინტრიგა უფრო იტაცებს.

ლადოც აკოსტაში უფრო ხალხთან იყო.

„ივლით, ივლით!“-ეს გულიდან ამონაკენესი ხმა. „ისიც გამოშორდა!“ — ცრემლები ყლაპვით წარმოთქმული ან და ყველაზე უმშვენიერესი, — ბოლო აქტში: „ბეჭდები შესცვალეს!“ —

ებლაც ყურში მიღგანან ეს ფრაზები. საკმაოა ეს სამი ფრაზა
ლადოსგან თქმული, რომ მსმენელი მოიხიბლოს და თანაგრძნო-
ბით განიმსჭვალოს ურიელისადმი. ამის შემდეგ თქვენ მის ბენა-
კიბასთან კამათსაც სიამოვნებით ისმენთ, სილვასთანაც მის
მშრალ პაექრობას. თქვენ დაპყრობილი ხართ და უკვე მის
ფილოსოფიასაც ხალისით თან დაჰყვებით. უამისოთ ვინიცის
ნაკლებ დაგეჯერებინათ აკოსტასი. მაგრამ ჯადოსანმა ლადომ
ჯერ სწორედ ეს ადამიანური მომხიბლაობა აკოსტას ბუნებისა
გამოჰტინა წინ და მით მიგვიზიდა თავისკენ. მერე როგორი
გარეგანი სამოსით მოსავდა იგი აკოსტას. ჯერ ერთი ტანსა-
ცმელიც მისგან იყო შეთხზული. ისპანიური ჯუბა, მხოლოდ
სახელოებ-გაშლილი, ქართულ ყურთმაჯასებ, ტრიკო, მოკლე
შარვალი, „ტუფლები“ და რბილი ქეჩ-ქული. სულ ყველაფერი
შავი ფერისა.

შავი კოხტა წვერულვაში, მხრებამდე დაყრილი შავი, ხუჭოქა თმა.
მართლა გავდა ქრისტეს, ძველ მხატვართაგან შესრულებულს,
განსაკუთრებით მეოთხე მოქმედებაში, რადესაც თეთრ გრძელ
პერანგში იყო გახვეული.

აკოსტას სურათი დარჩა, მაგრამ სურათს ბევრი აკლია სიცხა-
დემდე, ეგ მხოლოდ თითქო ლანდიაო სინამდვილისა.

და რამდენი მოგონება დაკავშირებული ამ „აკოსტასთან“.

ქუთაისში პირველად მისი დადგმა, შემდეგ გამგზავრება ბათომს
და შავი ზღვის პირა ქალაქებში. თითქმის უსუფლიოროდ რომ
ვას' ულებდით მთელს პიესას.

ულამაზესი ივდითი ქართულს სცენაზე, განსვენებული ავალი-
შვილის ქალი, კოტე ყიფიანი დე-სილვა, საცოდავი დესპინე
ივანიძისა, მშვენიერი აღმასრულებელი ურიელის დედის, და-
თიკო ჩარკვიანი ბენ-იოხაი, გუნია ბენ-აკიბა და სხვ. მეც ხან
დე-სანტოს, ხან დე-სილვა.

რამდენი გულწრფელი აღტაცება ხალხისა, მსახიობებისა, ოვა-
ციები.

ერთი ღამე ქუთაისში:

ურიელ აკოსტა პირველად. მშვენიერი აღსრულება ლადოს
მხრივ, სრული გაშლა მისი ზღვა ტემპერამენტისა,

კარგი ანსამბლი, ტაში, გამოწვევა დაუსრულებელი. მაგრამ აი საბოლოოთ ჩამოეშვა ფარდა. ნერვები ზე-აწეულია, არ გვეძინება. გვინდა სულ აღსრულებულ მღვდელმოქმედებაზე ვილაპარაკოთ, გაუზიაროთ ერთი მეორეს ჩვენი ესთეტიური თართოლევანი.

ლადო სასტუმროში დგას. აი უნდა ყველანი გამოვეთხოვოთ ერთი მეორეს. მაგრამ ლადო მე არ მეღვება.

—წამო ჩემთან, ნომერში.

რა დიდი სიხარულია ჩემთვის.

მივდივართ და კიდევ დიდ-ხანს, დიდხანს ვსაუბრობთ.

ლადო მისვენებული ლოჯინზე, შინაობაში.

მე ჯერ ასეთი არ მინახავს.

რა საოცარია, ღმერთო!

ეს სახე ასეთ შილიფობაშიც რა წარმტაცია, რა ღვთაებრივი. პირველად მაშინ ვიგრძენ თუ რა დიდი ესთეტიური სიამოვნება შეიძლება განგაცდევინოს ადამიანის, რჩეულ ადამიანის სახემ. მაგრამ აი ჩაეძინა ლადოს. მე ვერ ვხუჭავ თვალს. დიდ-ხანს შევცქერო.

11

უსათუოდ ეს კლასიკური ნიღაბი ლადოსი დიდი სილამაზის მატარებელია.

მაგრამ აი გაეღვიძა. ჯერ სულ აღრეა. 7 საათი თუ იქნება დილის. ვდგებით ორივენი. სად წავიდეთ?

—მამასთან, ჩემთან ვეუბნები მე და.. მივდივართ.

ეს ბუმბერაზი კაცი ჩემს წარმოდგენაში როგორ ამყვა მე ბევრათ მაზე უმცროს, გამოუცდელ ქაბუკს.

მივდივართ მამასთან და ეხლა იქ მათი საუბარი ხელოვნებაზე, საქართველოზე, შექსპირზე.

თურმე ლადო განვითარებული კაციც ყოფილა.

წარმოიდგენთ სცენით და ხელოვნებით ისედაც გატაცებულ ქაბუკის სრულს დატყვევებას ამ პიროვნებით, ამ დიდი მსახიობით. და განა მე ვიყავი ასე მარტო. მე რომელიც ისე აღრე დავუაზლოვდი და სულ სიკვდილამდე ვიყავ ბედნიერი მისი ნაზი მეგობრობით, არამედ ისინიც, ვინაც უფრო შორს იდგნენ, მაგრამ მაინც იზიბლებოდნენ, როგორც მისი არტისტობით, ვგრძევი პირადობით.

შაგრამ უკუ ვაგდოთ ლირიზმი. ლაღოზე მე წინეთაც მითქვამს
ბევრჯერ და დამიწერია კიდევ.

გაფიხსენოთ ისევ მისი ფრანცი.

კუზიანი, ცხვირ-ბუშტა, წითელ-თმიანი, დაქორფლილი სახით
და თითქო მუხლ-გადმობრუნებული, კოჭლი საშინელება.

შეიძლება არც ეს იყო მართალი განსახიერება, მაგრამ როგორ
ნათლად გრძნობდით რა დიდ მსახიობთან გქონდათ საქმე.

მას შემდეგ ამ როლში ქართულ სცენაზე ბევრი ვერ გაექცა
მისგან შექმნილ ტრაფარეტს და ამიტომ კარიკატურა გამოუ-
ვიდა, ხოლო ვინც გადასცდა მის ფარგალს, დამარცხდა. ხალ-
ხმა იგი არ შეიგუა. ისეთი ღრმა კვალი ჩასტოვა ამ როლში
ლაღოს საოცარმა ნიჭმა.

იკითხავთ ჰამლეტს.

მე არ მომწონდა მისი ჰამლეტი.

შეიძლება ამის მიზეზი იტალიელი ბუმბერაზი ვრნესტი როსი იყო.

მე იგი ვნახე ჩემი სიყმაწვილის და როსის გადახრილობის ჟამს.
ამას აქვს მნიშვნელობა.

12

სიყმაწვილის შთაბეჭდილება უზარმაზარია და გამოუხუნებელი.
როსის მოხუცება კი ჰამლეტისათვის საზარალია.

ჰამლეტი სულით არის მოხუცებული მხოლოდ.

მანც ამ ჭრამავ როსი-ჰამლეტის ნახვის შემდეგ ლაღომ ვერ
დამაკმაყოფილა.

მართალია მე იტალიური არც ეხლა მესმის, როსი კი იტალიუ-
რად ასრულებდა, მაგრამ იმდენათ გამომეტყველი იყო მისი
ასრულება და ჩემი ნაცნობობაც პიესასთან არ იყო ისე ზერელე,
რომ ვერ მიმხვდარვიყავ როსის სახეობას.

ლაღო ის იყო ჰამლეტში, რასაც თვითონ ამბობდა: მე იმას
ვიძლევი, რასაც ევროპიელი მსახიობებია და ეს გარეგნობით
ასეც იყო, მაგრამ უთუოდ აქაც ჰამლეტის ფილოსოფიური მხა-
რე სძლედა ლაღოს და მოგეხსენებათ ჰამლეტს სასიყვარულო
გასაქანები ნაკლებათ აქვს. მისი განსჯა და აზრი, ვიტყვი თამამ
სიტყვას, ერთგვარ ლირიზმსაც მოკლებულია.

ჰამლეტი განყენებული აზროვნება უფროა და ესეთი ფარგლები
არ ეხალისებოდა ლაღოს მსახიობურ ტემპერამენტს.

რალა თქმა უნდა ლადო ჰამლეტისთვისაც უადრესი მადლობის ღირსია, რომ ეს მსოფლიო ლიტერატურის დიადი გმირი ოლი-ასი, არ იყოს „გაგვიშინაურა“ და გაგვიშინაურა როგორ:

გარეგნობით ლადოსთანა მოხდენილი ჰამლეტი იშვიათია. ზედ-მიწევნით კარგა ჩაცმული, ულამაზესი, სევდა-მოპყრობილი სა-ხე და პოზები, პოზები ისეთი, რომელიც მხატვრის კალაშს გამოიწვევს ტილოზე ასახმაურებლათ. ყოველივე ეს დიდი გან-ძია, რომ ასეთი სამოსით მოვისმინოთ სცენიდან შექსპირის უკვდავი, ჰენიოსური სიტყვები.

მაგრამ რასპლიუევი, გოროდნიჩი, ასტროვსკის „შემოსავლიან ადგილში“ ძველი მიხელე?

ეს სულ სხვა სფეროა ლადოს შემოქმედებისა. ყველა ეს რო-ლები თითქო უფრო კომიკ მსახიობისაა, მაგრამ ლადო როგორ მალღდება ამ როლებშია.

განსაკუთრებით „გოროდნიჩში“.

ყველას „რასპლიუევი“ უფრო ახსოვს, მაგრამ უსათუოდ დიდათ აღსანიშნავია „გოროდნიჩი“.

ქკვიანი და გაიძვერა. უფლების მოყვარე და რკინის მაჯიანი, არავითარი შარჟი, არც ერთი გაქანება იაფ-ფასიან კომიზმისა-კენ. ნამდვილათ ტრაგიული ფიგურა შავ-ბნელი რუსეთისა. და მართლაც არავის არ ეცინება ლადო-გოროდნიჩის მოქმედებაზე. განსაკუთრებით ბოლო მოქმედებაში. იგი მალღდება ტრაგე-დიამდე. აღარ გეცინებათ, მხოლოდ უსიამოვნო გრძობა:-რა ცუდი მოწყობილია ცხოვრება, როგორ გასულელდება ქკვიანი კაციც კი ესეთ უხეირო პირობებში, რომელიც შექმნილია თვით სკოზნიკ-დმუხანოვსკების მიერ.

აქაც ლადო გვასწავლის თუ როგორ სერიოზულათ უნდა მო-ვეპყრათ გაიძვერა ბუნებათა შესწავლას. აქაც ერთი გადახედვა ადამიანის სულის უფსკრულისაკენ.

და თქვენ კმაყოფილი მოდიხართ თეატრიდან. შეიძლება დღეს ნაკლები იცინეთ, მაგრამ ეგრე გვინდა, ეგრე გვეკადრება— მაგისთანა მათრახი! ეგრე ჩავვაფიქრე!

შეიძლება დავგმოთ აწმყო და მოვიდეთ იმ დიდ რევოლუციამდე, რომელსაც მაშინდელი რუსეთის პროტესტანტი მოქალაქე

მოელოდა.

სწორეთ დიდი მსახიობი გარდაიცვალა!

მრავალ-ფეროვანი, მალალ-ნიჭიერი.

მართლა ჯაგარი და მშვენიება ჩვენი სცენისა, მართლა სიამაყე ჩვენი სახიობისა.

მე კი, ლადო, როგორ მინდა შენთან ჩუმი, განმარტოებული გამოსაუბრება.

რა ვუყო ამ მოზღვაებულ გრძობებს.

ვერც შენს საფლავზე ვთქვი რამ!

ნუ თუ მემღური?


ბევრი რამ მინდოდა მეთქვა, ბევრი.

მაგრამ განა მეგობრის გული ამოიწურება, როდესაც იქ ისეთი მრავალ-ფეროვანი მასალაა დაგროვილი, როგორათაც შენი მსახიობობა იყო, როგორათაც თვით შენი მრავალფეროვანი ცხოვრება იყო.

14 ეხლა მხოლოდ ეს ღა უნდა ითქვას, რაც ვილაც ერთმა სთქვა გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებისას:

— ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ გაბრიელის დროს, ვცხოვრობდითო საერთოდ მართალია! ჩვენ თანამედროვე, ხანდაზმული ქართველები ბედნიერნი ვართ, რომ ვცხოვრობდით ილიას, აკაკის და სხვა დიდ მოწინავეთა დროს.

ჩვენ მსახიობები კერძოთ კი ბედნიერნი ვართ, რომ ვცხოვრობდით დიდ ლადოს დროს და ვეზიარეთ მის მშვენიერ, ფერწაუშლელ მხატვრულ შემოქმედებას, მის ესთეტიურ სილამაზეს მოუწყინარს.



სოსო ასლანიშვილი

ქართული კომუნია.

„მეოცნებე ნიაშორები“ და „შვილდოსანი“

1919 წელს თებერვალში ქუთაისში ვალერიან გაფრინდაშვილის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „მეოცნებე ნიაშორები“, მხოლოდ 1920 წლის იანვარში სანდრო ცირეკიძის რედაქტორობით კი ჟურნალი „შვილდოსანი“. ვინაიდან ამ ორ ზემოხსენებულ მგოსნებს და მათ ჟურნალებს „მეოცნებე ნიაშორები“ — „შვილდოსანი“-ს დიდი კავშირი აქვთ ჩვენს მწერლობაში ახალ მიმართულებასთან, ეგრეთ წოდებულ ქართულ მოდერნიზმთან და იმ ახალგაზდა მგოსნების პლეიადასთან, რომელიც 1915 წელს პაოლო იაშვილითურთ მოეველინა ქ. ქუთაისს და რომლის რედაქტორობითაც საზოგადოებამ 1916 წელს იხილა შედეგი მათი შემოქმედებისა — „ცისფერი ყანწები“, ამისათვის სანამ „მეოცნებე ნიაშორები“-ს და „შვილდოსანი“-ს შევეხებოდეთ, აუცილებლათ მიგვაჩნია მოკლეთ შევეხოთ იმ დროს, როდესაც 1915 წელს პაოლო იაშვილთან ერთად გამოვიდნენ აგრეთვე ვალერიან გაფრინდაშვილი, სანდრო ცირეკიძე, კოლაუნადირაძე დ სხვანი და რომელთა გამოსვლამაც ერთგვარათ შეარყია საზოგადოებრივი აზრი.

მათი გამოსვლა იყო ახალი მოვლენა არა მარტო ქუთაისისათვის, არამედ მთელი საქართველოსთვის, ვინაიდან მათი სიტყვა იყო ახალი სიტყვა, სიტყვა მძლავრი და შეუდრეკელი. ეს იყო ახალი სიო, ახალი მიმართულება ჩვენს მწერლობაში, სახელდობრ ქართული ნოდერნიზმი. ვალაპარაკოთ ამის შესახებ გრიგოლ რობაქიძე:

„1915 წლის დასაწყისში ქუთაისზე ელვის სისწრაფით გაისმა ვით შორიდან მოსულ ფრინველთა სიმღერა ახალ მხატვრულ ხიტყვის ქადაგება. ქუთაისი აფორიაქდა. უჩვეულო ქალაქია: ის — უცილობლათ მეტაფიზიკურ «ობივატელობის» გენიალური გამოხატულებაა, — და მასთანვე, განსაკუთრებულათ თავისებური.....
„ქეშმარიტად და ტრადიკულია ქუთაისი თავის «ობივატელობაში».....“

„და ქუთაისის «აფორიაქება» საპასუხოთ ამ ახალ სიტყვის ქაღალგებაზე ბუნებრივი მოვლენა იყო.

„ის ახალგაზდები, რომლებმაც თავის ახალი სიმღერით დაარღვიეს ქუთაისის ქუჩების უდარდელი სიმშვიდე, იყვნენ ახლად გამოსული მგოსნები: პაოლო იაშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლელი ჯაფარიძე. ცხოვრების განცდათა მოდერნისტული სტილი სამხატვრო სიტყვის მწყობრ განსახიერებაში--აი რა იყო იმათი აღთქმის ახალი ხაზი და ქუთაისის დუქნები უცბათ გადაიქცა პარიზის სალიტერატურო კაფეებათ, სადაც არღნის ხმასთან და აუცილებელ «მრავალ ჟამიერ»-თან ერთად გაისმა საყვარელი სახელებიც: ედგარ პოე და შარლ ბოდლერი, ფრიდრიხ ნიცშე და ოსკარ უაილდი, პოლ ვერლენი და სტეფან მალარმე, ზოზე-მარია ერედია და ემილ ვერხარენი, კონსტანტინე ბალმონტი და ვალერი ბრიუსოვი, ანდრეი ბელი და ვიაჩესლავ ივანოვი, ინოკენტი ანენსკი და ალექსანდრე ბლოკი და სხ.“ (ჟურნალი „Ars“-ი № 1. 1918. გრიგოლ რობაქიძის წერილი: Грузинский Модернизм. გვ. 46).

„ცისფერ ყანწებ“-მა, რომელიც 1916-ში გაზაფხულზე და ზამთარში გამოვიდა, ქუთაისში დიდი მითქმა-მოთქმა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია პრესასა და საზოგადოებაში.

„ცისფერ ყანწებ“-მა და ყანწელებმა (ასე ვგულისხმობთ მგოსანთა ამ პლედადს) უარყვეს ძველი სკოლა და შექმნეს ახალი.

„ბრძოლის ველი მოიფინა ძველი არმაზების ნამსხვრევებით. დღეს აღარ გვაწუხებს მათი ყვითელი გამონათება. ახალი შკოლა შეიმოსა გამარჯვებულის სამოსით. «ცისფერი ყანწები»-ს ვუალით დასეირნობენ დღეს ჩვენში პოეზიის მსახურნი“. („მეოცნებე ნიამორები“ თებერვალი 1919. შალვა აფხაიძე: ქართული პოეზიის პერსპექტივები. გვ. 9).

1917 წლის რევოლუციამ „ყანწელთა“ ჯგუფის დიდი ნაწილი თავისივე „ცისფერ ყანწები“-თ გადაიტყორცნა ქ. თფილისში; 1918-ში ჩვენ იქ ვხედავთ პაოლო იაშვილს, გალაქტიონ და ტიციან ტაბიძეებს და სხვებს. ეს ჯგუფი ახმაურდა კვლავ, მხოლოდ უკვე დედა—ქალაქში, აღმოსავლეთ საქართველოში.

დასავლეთ საქართველოს კი, ქალაქ ქუთაისს შერჩა ვალერიან გაფრინდაშვილი, რომლის ირგვლივ თანდათან იმატა ახალ ძალებმა და ამგვარათ უკვე იგი კარგათ მოღონიერდა. და თუ კი „პაოლო იაშვილში ახმაურდა ხალიჩიანი აღმოსავლეთი: გაბედულ მეტაფორებით, თვალმჭრელ კონტრასტებით..... მეორე მხრით დასავლეთიც გაიშმუნა ვალერიან გაფრინდაშვილში, თავისი შეუზღუდველი ფანტასტიკით, ინდივიდუალიზაციის ავანტიურით, შეშინებულ სახეებით.“ („მეოცნებე ნიამორები“ თებერვალი 1919. შ. აფხაიძე. ქართულ პოეზიის პერსპექტივები. გვ. 10).

მართალია ხმაურობს თფილისი, მაგრამ არ დადუმებულა ქუთაისიც, რომელიც ამ შემთხვევაში საზოგადოთ აწარმოებს ნამდვილ აკადემიურ მუშაობას. თუ კი დღემდის ჩვენ ვერ ვხვდავთ თფილისში „ყანწელთა“ „ცისფერ ყანწებ“-ს, თუ არ მივიღეთ მხედველობაში უკანასკნელ ხანებში ყანწელთა კარგ გამოცნებით გამოცემული პოეზია-ესთეტიკა-პოლიტიკის ფურცელი გაზეთის სახით „ბარრიკადი“-ს სამი ნომერი, სამაგიეროთ ქუთაისში დარჩენილი ამ „ყანწელთა“ ჯგუფი ისე გაძლიერდა, რომ სულ მოკლე ხანში მან შემოგვთავაზა „მეოცნებე ნიამორები“-ს ოთხი ნომერი (მეხუთე იბეჭდება), „შვილდოსანი“-ს ორი ნომერი და აგრეთვე სანდრო ცირკიძის გამოცნებით და ხელმძღვანელობით გამოცემული „კირჩხიბი“-ს მშვენიერი გამოცემები: სტეფან მალარმეს „ლექსები და პროზა“, „ახალ პოეზიის ანტოლოგია“ და ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისები“, რომელსაც მოჰყვა კოლაუ ნადირაძის ლექსთა კრებული „ბალდაზინი“.

„მეოცნებე ნიამორები“-ს ფურცლებზე ჩვენ ვხვდავთ ახალ მგოსნებს, რომელნიც „ცისფერ ყანწებ“-ში არ ყოფილან. ესენი არიან: შალვა აფხაიძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი, ინარე-ჟანი, ნიკოლოზ მიწიშვილი, შალვა ამირაჯიბი, სერგო კლდიაშვილი, დია ჩიანელი, ტრისტან მაჩაბელი; აქ არიან აგრეთვე ჩვენთვის უკვე ნაცნობი მგოსნები: გრიგოლ რობაქიძე („უაჟლდი პარიზში“, „დიდი შუადღე“, „ვასაკა“, „ვასილ კამენსკის“), პაოლო იაშვილი („ოფელიას ორდენის კავალერს“,

„ავტოპორტრეტი“), ტიციან ტაბიძე („პეტერბურგი“, „2 აპრი-
ლი“, „ფატმან ხატუნი“), ვალერიან გაფრინდაშვილი („მისტი-
ფრი მარულა“, „ჯვარისწერები დაისში“, „დაისი მესამე“,
„ზამთრის ღღეების გასვენება“, „ჯვარის დაწერა მარგალიტზე“),
კოლაუ ნადირაძე („ივანე მაჩაბელს“, „ბალდახინი“, „ყაღბი“
ავტობიოგრაფია“, „L'art“), გრ. ჯაფარი („Requiem“, „თეთ-
რი კარავი“, „ბინდის ფერები“, „სალამოები ზღვის პირზე“),
ივ. ყიფიანი („არიჟრაჟება“), ლელი ჯაფარიძე („მატარებლიდან“).
„მეოცნებე ნიამორები“-ს ფურცლებზე პოეზიის გარდა აღგილი
აქვს აგრეთვე მხატვრულ პროზას (სანდრო ცირეკიძის „ლაჯა“
და ნ. ლ. „მთვარიან ღამის ჩრდილში“). იქვე ვნახულობთ
ყურადსაღებ კრიტიკულ შენიშვნებს, მაგალითად აღსანიშნავია
ვალერიან გაფრინდაშვილის „სონეტის პრობლემა“, „სტეფან
მალარმე“, „შენიშვნები ლირიკაზე“, „დავით გურამიშვილი“
(„მეოცნებე ნიამორები“-ს №№ 1, 2, 3 და 4).

18

რაც შეეხება პროზის თეორეტიულ განხილვას, ეს პირველათ
დაიწყო „მეოცნებე ნიამორები“-ს და „შვილდოსანი“-ს ფურც-
ლებზე სანდრო ცირეკიძემ. მის კალამს ეკუთვნის „მინიატურა“
(„მეოცნებე ნიამორები“ № 1), „სათაური პოეზიაში“ („მეო-
ცნებე ნიამორები“ № 3) და „ორსახიანი იანუსი“ („შვილდო-
სანი“ № 2 — 3).

თვით ჟურნალი „შვილდოსანიც“, რომელიც ქუთაისის „ყან-
წელთა“ ფრთის გაძლიერებათ უნდა ჩაითვალოს, იმავე შემად-
გენლობას შეიცავს, რასაც ვხედავდით „მეოცნებე ნიამორებ“-ში.
„შვილდოსანი“ შევსებაა „მეოცნებე ნიამორები“-ს და მასთანვე
ის არის თავისებური თავისი სიახლით. აქაც ჩვენ ვხედავთ
ყველა იმათ, ვინც „მეოცნებე ნიამორებს“ აწვდიდა მასალას;
აქაც იგივე მკვეთრი სიტყვა, იგივე სიახლე; ისეთივე დაცვა
და განმარტება ქართულ მწერლობის ახალ მიმართულებისა,
როგორც იყო „მეოცნებე ნიამორებში“.

საერთოთ ქუთაისში უმთავრესათ შეიქმნა ამ ახალ მიმართულე-
ბისათვის ნიადაგი თავიდანვე, ქუთაისიდანვე გავრცელდა საქარ-
თველოს ყველა კუთხეში მოდერნიზმი და ქუთაისის წყალობით
გაუჩნდა მას მრავალი თაყვანისმცემლები. დღესაც ქუთაისი

განაგრძობს ამ მხრივ თავის აკადემიურ შუშაობას და ვალერიან გაფრინდაშვილის „მეოცნებე ნიამორები“ და სანდრო ცირეკიძის „შვილდოსანი“ კვლავ იმ არჩეულ გზით მიდის, რომელიც ნამდვილათ ამართლებს სიმბოლიზმს საქართველოში.

„ქუთაისმა გვიჩვენა წიგნის კულტურა.

„...აქ უნდა ვეძიოთ სიმბოლიზმის პირველი გამართლება საქართველოში“. (შვილდოსანი № 1. 1920. შ. აფხაიძე. ლიტერატურული პროფილები. გვ. 20).



სახელმწიფო თეატრების დირექტორი
ალ. წუწუნავა.
მ. კიაურელის ქანდაკება—შარტი.



სახელმწიფო დრამის რეჟისორი
აკაკი დავლავა.
მ. კიაურელის შარტი.

ვალერიან გაფრინდაშვილი

Fata-Morgana.

დიდხანს ვიყავი ბოგემა სარკის
მე—საიქიოს მთვარით ნაბური.
და მომენატრა ცის უფრო კარგის
მზე ოქროსფერი და უდაბური.

მაგრამ დილის და შუადღის ალებს
ლონემიხდილი მე ძლიეს ავიტან.
ელეაზარი-სული კანკალებს,
დაბრუნებული ცივ საფლავიდან.

მე მზის წყურვილი ვერ მოვიკალი.
არ ვესალმები მზის სხივებს განა?
და უცბად ჩნდება როგორც გრიგალი
უცხო დაისის ფატა-მორგანა.

ათრთოლებული დაისი არის
ელიზიუმი ნაცნობ ლანდების.
და აქვითინდენ სიმები ქნარის
და ქრიან ქარნი სარაბანდების.

გადავვარდები როგორც ჯამბაზი
დაისში თავით—ღვთისგან ქებული.
და ვით პეპელა იწვის ლამპაზე—
მე დავიწვები გაბრწყინებული.

ვალერიან გაფრინდაშვილი

კალიგულა აშორდია და გაფრინდაშვილი.

ავ კალიგულამ ცხენს კონსულის მისცა წოდება.
ვაძლევ ქიმერებს მე—პოეტი აზნაურობას.
ვაძლებ ყალბ სიგელს თვით გომბეშოს, თუ მეცოდება.
სიამით ვუსმენ ვასსალების ბნელ ხმაურობას.

ვარ აშორდიას მოციქული და თანაბარი—
მახინჯი სახე გავასაღე მშვენიერ კერპად.
მიყვარს საშინელ სინამდვილის ავი ზღაპარი,
მაგრამ დაისი ავირჩიე ბრწყინვალე ღერბად.

ჩემი ქვეშევრდომ ქიმერების რიცხვი დიდია.
სამეფოს მაინც ვაძლიერებ—ყოველთვის ხარბი.
ჩემი ოცნება როგორც ქვაბი ცეცხლზე ჰკიდია—
მასში სიზმრებთან იხარშება სასტიკი ზღარბი.

ბევრ ამაყ კლექებს და ზურმუხტებს მე ავატირებ.
გავხდი იდუმალ არომატებს მაღალ სარდლებათ.
გავხდი მარგალიტს ოფელიად. ჭინკებს, სატირებს
ჩემ სარკეებში კვლავ მოელის გასამართლება.

ცეცხლის თეატრში აკვნესდება ფარდა წითურებ.
როგორც მარკიზებს გამოვიყვან ჭრელ მორიალებს.
გავშლი სიგელებს და საოცარ მემორიალებს.
ვით ოდიშელი მთელ ქვეყანას გავაბითურებ.

მე. ჯაფარი

ცისფერი მესხა.

მე არაფერი არ მაფიქრებს და არ მაწვალებს
ისე როგორც ეს თოვლისფერი მისი ზღაპარი—
ღმერთო, შეხედე სიყვარულით ამ ბავშვის თვალებს
და მინიჭე მას ნუგეში და შესაფარი.
ღღეს სიზმრის ტბებში გხედავთ მხოლოდ და იქ მოგვლით—
(რა დაგვაფიქრებს შენს სანთლის თითებს!)
ცისფერ მუსიკას აბნევს მესხა—და დაჩოქილი
ის ყველას სოველ თვალებს გვარიდებს.
(თითქო ცრემლები იბნეოდნენ აქ უჩინარად!)
ო, ვინც ზამთარი დაიმტვრიეთ საწყალ თითებით
და მისი ბავშვიც ნახეთ მასთან—მისი გულნარა—
თქვენ გაჩუმდებით სანთელივით და თქვენ მიხვდებით
საოცარ ილბალს! ო, მიეცი უფალო, ბარემ
თეთრი ზმანება—მშვიდობა და თავშესაფარი.

შალვა ჯაფარი

ღანიშნული შვიწყა.

რარიგ ჰშვენინან ამპარტავნები!
სელა მიუბაძავთ ამაყ ირმიზა.
პანის ფერიებს სდევნენ ფაფნები...
თრობამ ქუჩაში ამაყირმიზა.

ო, სანატრელი ნაზი გლოვილი.
აზლა ლამეებს ეძვირფასებით!
სქელი წყვილიანი ფერდაგროვილი—
შემოგხვევიათ ტანზე ფლასებით.

ერთხელ მეგონა: დაცრემლილ ბალებს,—
გადამაშორა დოღში ჯირითმა!—
ღღეს სევდის მთვარე კამარას ალებს,—
ისევ ოცნება გადაგვირითმა!

მაღალ ფანჯრიდან ფორტეპიანო
ნოკტურნებს ისერის ფერშავ ჰანგებით.
თითქოს ტირიან: მგზავრო გვიანო,—
კვდებიან გედნი ფარშავანგებით!

არც არასოდეს დაიშაქრება
მხურვალე სული გრილი ანთებით!
ჩაქრებით უფრო, როგორც ჩაქრება,—
აისზე მანგი ბრილიანტებით!..

ის ზღაპარი 1-2

ის ზღაპარი
შალვა ჯაფარი

ინ-რე-ჟან

თ ა ა ც რ ს ი .

პროვენციელის ლანდი.

ქათქათით მოსჩქეფს აქაფებული რძის შადრევანი;
ელექტრო-რძეში დასცურავენ გარს სახეები.
გადაწყვეტილად თვალ წინა სდგას ეს არჩევანი:
—აქ არვის ახსოვს ჭირვეული დღის საქმეები.—

სანახაობებს, განცდის წუთებს მოზღვავებიან.
თვალთა ციალი და კისკისი... წარბთა რხევანი...
გაიელვებენ თეთრ შოლტივით მკლავთა ქნევანი...
და თვალნი მზერით და ღიმილით ველარ ძღებიან.

ცისფერი, თეთრი, ვარდისფერი, შავი ბანტები...
ჩუმი ბასი... მოწაფეთა გადაძახილი...

აქ უნდა გქონდეთ გალესილი ყურთა მახვილი:
ამ ხმათა ზღვაში ბევრი სიტყვა დაიფანტება.

მიმოცურავენ ტანის რხევით თეთრი გედები;
მალალ გულ-მკერდზე ირხევნიან ქარვის მტევნები.
კოხტად ჩამჯდარან იქ ლოყებში ქორთა დედები...
და მრავალ ფიქრებს გულთ იკეცავ, არვის ეუბნები...

—კრომ! კრომ! კრომ!—სამჯერ ჰყივის ყრუ ხმით მამალი;
ადილეებისკენ ჭაჩქარებით ყველა ბრუნდება...
ფოიეში კი სდგას ვიღაცა ტანით მალალი,
ვერ ჰბედავს შესვლას და ამ ყოყმანს დიდ-ხანს უნდება.

ნეტავ ვინ არის? ან ამ ხალხში რათ მარტოვდება?...
რათ არვინ აძლევს იმას სალამს, ვით არაკეთილს?!..
ან რატომ ეკვრის მკრთალ ლანდივით ფოიეს კედელს?...
და ამ თეთრ წუთში რუხი ფიქრი რათ აგონდება?!..

როცა ეშვება ნელ ტორტმანით სცენაზე ფარდა;
იტკრციალებენ ყოველ მხრიდან ტაშების ბატნი...
ის ჩუმად მიდის,—როს გიჟდება ყველა მის გარდა,—
და ზურგს უმშვენებს მას ყელ-ქვევით თეთრი—რამ ბანტი.

ქათქათებს სივრცე—ვით რძის ქაფი აცურებული...
სურნელოვნობენ მოდერილნი მალალ გულ-მკერდნი...
თვალთ იზიდავენ კოხტა რხევით ასულთა გვერდნი...
და მოსჩქეფს მათგან აღტყინება დაგუბებული...

ყოფის ვარამი დავიწყების ზღვით დაშვებულა...
ვარდისფერ სხივით აქ ცხოვრება გაუშუქებულა...

მხოლოდ ის არის შავის ბედით აჩემებული:
აქაც მეგობრობს განუყრელად... და აგრე უღვთოთ!..
ამას გთხოვთ—მე და მისი სული გაჩრდილებული:
—თუ თქვენც შენიშნოთ, ყურადღებით არ შეაწუხოთ!..

თიქრა სთფულტყ.

იყო ამ ბალის მოწყენილ ტბაში
სიახლე გედის, კვირე სიზმარის.
სერაფიმების ლოცვების ტაში,
და სათნოება ნაქარგი მთვარის.
სოფელი იყო ნაქსოვი ღაზლით,
და ვარსკვლავებში გამობვეული.
აქ ქალბატონი ხარობდა ნაზათ,
ფეფრებოდა სამი ხვეული.
იყო მშვიდობა უზენაესი,
უმანკოება დიდ გუმბათების,
იყო ლაყვარდი, ვარდის დაისი,
მკრთალი არშია დამწვარ სანთლების.
მოჩვენებაა და ეფემერი,
დღე ყველაფერი—ოცნებობს ჩუმაღ.
ჩვენმა სოფელმა იცვალა ფერი
და აქვითინდა ბინდის ჩუქურთმაღ.
დიდი მოწყენა არის მარადი
უცნობი წერა იქ იმყოფება.
მას დაეფინა უფერო დარდი,
და უამარი ავათმყოფები.
დღეს დაქანცული საღამო არი.
არავის სძინავს სოფელში ახლა.
ეკლესიაზე გადატყდა ჯვარი,
კოდვილ მიწაზე გადაესახლა.
უკანასკნელი საღამო არი.
სოფელს დაეცა ნევრასტენია.
გარდაიცვალა აქ მაცხოვარი,
ღვთისმშობლის ცრემლი და ექტენია.

ი. ზაონია

სინათლე და ლიანგი.

ადამიანები ტკბებოდნენ სინათლით, მარა ერთ დღეს ჩაუქრათ იგი. ბნელმა მოიცვა სუყველაფერი ამ ქვეყანაზე.

პირველ ხანებში ყველა ნატრობდა სინათლის კვლავ ამოსვლას. ვავიდა ღრო. სიბნელე გაუკუმეფდა, სიარულს ვეღარავინ ახერხებდა, ყველა ფორთხავდა.

ლიანგი (მასსა) შეეჩვია და შეეგუა სიბნელეს და მოუხარა მას ქელი. ის კუჭით მაძლარი იყო და შეურიგდა თავის ბედს.

სინათლეს ნატრობდნენ მხოლოდ რჩეულნი.

ლიანგი დასცინოდა ამ ნატვრას, მათი აზრით უნიადაგოს.

ვავიდა კიდევ ღრო.

მოისმა ციდან გრგვინვა, გაღელვა.

გრგვინვას გრგვინვა მოჰყვა, ელვამ უხშირა.

შეირყა სამყარო.

25

ზესკნელიდან მოისმა ზარტების ხმა, ქვესკნელიდან — შემზარავი გუგუნნი, გარესკნელიდან წამოვიდა მძაფრი, შემზარავი ქარბუქი და უცებ სინათლე გამოჩნდა.

უკვე ბნელს მიჩვეულ ადამიანებს სინათლე თვალს ჭრიდა, მას ვეღარ უჭვრეტდნენ.

ბნელში ფორთხვას მიჩვეულნი სიარულს ვეღარ ახერხებდნენ, სინათლეს ვეღარ ეგუებოდნენ.

მხოლოდ რჩეულნი ბედავდნენ სინათლისათვის თვალის გასწორებას, თუმცა თვალის პრიალით, სინათლეზე სიარულს, თუმცა ბორძიკით.

მფორთხავი ლიანგი დასცინოდა რჩეულებს, შეხეთ როგორ სასიცოცხლოდ აპრიადებენ თვალეებს, რა საცოდავად ბორძიკობენ! რისთვის ან ვისთვის იჭირვებენ საქმესო?

—საერთო სიკეთისათვის ვიჭირვებთ საქმეს, მომავალს გზა გვინდა გავუკაფოთო, მიუგებდნენ რჩეულნი.

მარა სმენა არ იყო და გაგონება.

ვავიდა კვლავ ღრო.

ადამიანების თვალებიც ნელნელა ეჩვევოდა სიმართლეს, ხედავდა კიდევ გარემოს, არჩევდა ადამიანს ადამიანისაგან.

ერთმანეთს ამჩნევდენ, რომ ხანგრძლივს სიბნელეს, სინესტეს და ფორთხვას გაეუფერულებინა მათი სახე, დაეწყლოლებინა ცხვირ-პირი და ხელები, მოებლუნკებია მათი ტანი.

ხედავდენ ყველაფერ ამას და ელდა უფლებდა მათ გულს.

— ჩვენთვის სინათლეს სიბნელე ჯობნებიაო! სინათლის წყალობით ყველა გულის ამრევს და შემაშფოთებელს წყლოლებსა და სიმახინჯეს ვხედავთო, სიბნელეში კი გულის აურევლათ და უშფოთველათ მაინც ვიყავითო!

რჩეულნი უხსნიდენ:

— სინათლის რა ბრალია, თქვენ რომ სინამდვილე გაშფოთებდესთო.

ადამიანები საგონებელმა შეიპყრო.

ბევრი იფიქრეს, ბჭობა გამართეს, ჩუმათ დაასკვნეს და ხმა მალლა ლალად ჰყვეს:

26 — არ გვინდა სიმართლე, რაკი ასეთს სინამდვილეს გვინათებსო!





ო. გრიშაშვილის აღბეჭდიდან.

საზანდა (საზანდარი) ალა ალაქბარის მეჯლისი 1855 წ. (სპარსელები)
ნახატი მირზა აბულასანზან სუნულ მულქისა.

პროფესორი ი. ყიფშიძე

27

ი. გრიშაშვილი.*) „საქათნოვა“ 1918 წ. ტფილისი, 15 მან.
ის. სტურუას გამბეჭდვა.

გასულ წელს ერთი კარგი წიგნი შეეძინა ჩვენს გამოკვლევებით მეტად ღარიბს მწერლობას, გრიშაშვილის „საქათნოვა და ძველი ტფილისი“ კარგა მოზრდილი მონოგრაფიაა (85 გვ. დიდი ფორმატისა), თან დართული აქვს საქათნოვას ძველის სურათი და საქათნოვასვე ავტოგრაფი (სომხური ლექსი ქართულ ასოებით), ერთიც და მეორეც საქათნოვას სომხური ლექსების გამოცემიდან (ტფილისი 1914) ამოღებული, შემდეგ მისდევს „საქათნოვას (ქართული) ლექსები“ (97-124, რიცხვით 28) და

*) შენიშვნა: პროფესორ იოსებ ყიფშიძეს, რომელიც 1919 წელს 21. II თფილისში პარტახტიანი სახლით გარდაიცვალა, იოსებ გრიშაშვილის წიგნის „საქათნოვა“-ს შესახებ ბიბლიოგრაფის წერა დაეწყო, მაგრამ მისი უძროოთ გარდაცვალების გამო იგი დაუმთავრებელი დარჩა. ეს დაწყებული წერილი იოსებ ყიფშიძის ხელთნაწერებში ენახა პროფესორ აკაკი შანიძეს იმავე წელს 3 აპრილს. მკითხველს ვაწვდით ამ ბიბლიოგრაფიის ნაწყვეტს სავსებით. რედაქცია.

ბოლოს „ლექსიკონი“ (127-134) საათნოვას ლექსებში ნახ-
მარი ზოგიერთი სიტყვებისა.

გრიშაშვილის გამოკვლევა ბევრს ახალსა და საინტერესო ცნო-
ბებს შეიცავს ქართული მწერლობის ერთს დარგზე—ყარაჩო-
ღელთა (შაფხონიანთა) აშულობაზედ, რომელთა წრესაც თვით
საათნოვა ეკუთნოდა, მათ ყოფა ცხოვრებაზე და საზოგადოდ
შველ ტფილისზე. აშულობა გარდამავალი საფეხურია ხალხურს
სიტყვასთან და ყარაჩოღელთა ხელოვნურის მწერლობის შო-
რის... ავტორს დიდი შრომა გაუწევია თავის მონოგრაფიის
დაწერის დროს გულდასმით შეუსწავლია მწერლობითი თუ არა
მწერლობითი მასალები, ყველაფერი ეს გაუტარებია,—როგორც
თვითონ ამბობს (21 გვ.),—თავის დაკვირვების საცერში და
ჩვენთვის მოაყვია არაჩვეულებრივი ცოცხალი, მხატვრული ენით
დაწერილი ყარაჩოღელთა და ძველი ტფილისის სურათი.

28

თავდაპირველად ბ. გრიშაშვილი გვიხატავს აშულის მნიშვნე-
ლობას საზოგადოდ: „აშულების მოვალეობა ის იყო რომ მათ
უნდა ექსპრომტად დაემღერათ ქამანჩაზედ თუ დაირაზედ ლექსი.
აშული ძველად დამკვრელიც იყო, მომღერალიც და ავტორიც.
დღეს კი აშულები უფრო ამსრულებელნი არიან“—ო (გვ. 8).
აღმოსავლეთის მუსიკა. ტყუილად ნუ ვცდილობთ აღმოსავლეთის
ჩამოშორებას (გვ. 10).

მარაქა (11-12), ნაღლი (მოძრავი თეატრი). აშულების გავლენა
ჩვენს პოეტებზე (20), 52, აშულნი საუცხოვოდ მომღერალნი
(27) ჰაზირა ნამდვილი აშული; ეხლანდელი აშულები (49) მარ-
ხვის შენახვა (29) კრივი, ჰამქარი (35) ავთანდილობა (40) ოხ-
ჩუმი. საათნოვას დახასიათება (49), 75 სხვა და სხვა ენაზე
ლექსები (63). (რედაქციის შენიშვნა: აქ წყდება ხელნაწერი).



მის. ბოჯორიშვილი

ღია ჩიანელი

„შემოდგომის ცრემლები“. ქუთაისი. 1918. ფასი 6 მანეთი.

დ. ჩიანელის „შემოდგომის ცრემლები“ პირველი წიგნია ახალგაზრდა მწერლისა. ავტორის წინათქმით: ეს ფერმკრთალი ნაწერები საუკეთესო ჩემი სულის შვილები არიან“-ო, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს „შემოდგომის ცრემლები“-ს სტრიქონები არ დარჩება ავტორის სულის საუკეთესო შვილებათ და მომავალში უფრო ძლიერსა და მწველი სევდით მონაქარგ სტრიქონებს მიუძღვნის ჩვენს ლიტერატურას.

„შემოდგომის ცრემლები“-თ ავტორი სცდილობს ახალი სტილის, ახალ ხაზმოსმის გამონახვას, მაგრამ იგი ვერ არის ძლეული, და ერთმანეთში აღრევა ახალისა და ძველი სტილისა აფერმკრთალებს ლამაზს და ღრმა შინაარსიან სიუჟეტებს.

ბ. ცაშიძე

„Grâce aux fleurs artistiques“. MCMXIX. ტფილისი. ფასი 25 მანეთი.

ადარებ გ. ტაბიძის ნაზისევდით მონაქარგ ლექსების II კრებულს პირველ კრებულთან და აღფრთოვანებას ეძლევი. გრძნობ რომ ახალგაზრდა მგოსანი გიგანტიურ ნაბიჯით მიიწევს წინ.

გ. ტაბიძე სრულიად თავისებური ნიქია, იგი ობლად მოხეტიალე ვარსკვლავია ჩვენს პოეზიაში, იგი განდევილი მეუღაბნოეა, რომელიც ვერავის ვერ ანდობს თვის გულის ზრახვას.

„რა იციან მეგობრებმა თუ რა ნაღველს იტევს გულიო“, მაგრამ საკმარისია გადაიკითხო, მისი მეწამულ ცეცხლით ნაფერფლი სტრიქონები, რომ გაიგო ავტორის სევდა რ არ შეგძლია არ შეიყვარო ეს სულის გამოუცნობ ფიქრების მესაიდუმლო მგოსანი.

გ. ტაბიძეს ნიქს აუცილებლად ეტყობა წინ-სვლა.

ტენნიკურის მხრით მისი პირველი წიგნი უფრო ლამაზათ არის გამოცემული ვიდრე მეორე, რაც უნდა ავხსნათ დღევანდელი სიძვირით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტაბიძის II წიგნი მეტს მოიგებდა რომ ზოგიერთი ლექსები სრულებით არ შეეტანა შიგ.

თაგუნა

წიგნი I. თბილისი 1919. ფასი 20 მანეთი.

ჰიუმორული ნაწერები იშვიათია ქართულ პოეზიაში. ქართველებს არ ეხერხება მხიარულ ჰანგზე წერა, რაც აიხსნება ისტორიულ ჩარხის უკუღმა ტრიალით. მიუხედავად ამისა ეშმაკი ზე თაგუნა ძლიერი ჰიუმორული ნიჭით არიან დაჯილდოებულნი, ხშირად გაუცინებია მათ ნაწერებს მუდამ სევდიანი და დაღვრემილი ქართველი მკითხველი.

ჰიუმორულ ნაწარმოებთა კრებული პირველად გვევლინება თაგუნას წიგნის სახით, რაც განძათ უნდა ჩაითვალოს ქართულ ლიტერატურისთვის. წიგნი დიდი ფორმატისაა და დღევანდელ პირობებში ძლიერ ხელმისაწვდომ ფასადაც იყიდება.

გამომცემლობა „კირჩხიბი“

ა) „ახალი პოეზიის ანტოლოგია“. ქუთაისი 1919. ფასი 15 მანეთი.

კირჩხიბის გამომცემლობა ყურადღებას იპყრობს როგორც შინაარსის მხრივ აგრეთვე გარეგნული მხრით.

30

„ახალი პოეზიის ანტოლოგია“ შესდგება ორი ნაწილისაგან: I ლექსები, II პროზა. უნდა აღვნიშნოთ რომ I ნაწილი უფრო მდიდარია შინაარსის და მასალების მხრივ ვიდრე II. პირველ ნაწილში მოთავსებულია 31 ავტორის ნაწარმოებნი, მეორე ნაწილში კი მხოლოდ ათის. შესაძლებელი იყო რომ II ნაწილიც უფრო შინაარსიანი და მრავალფეროვანი ყოფილიყო. ნაწარმოებთა ღირსება-ნაკლულეფანებაზე ჩვენ აქ არას ვიტყვით. აღვნიშნავთ მხოლოდ რომ ეს პირველი ცდაა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჩანგის I და II კრებულს, ყველა დარგის მწერალთა ნაწარმოების საუკეთესო ნიმუშთა გემოვნებისა, რაც დიდ მოთხოვნილებას წარმოადგენს ქართველ მკითხველისათვის, და ამ მხრით დიდი მადლობის ღირსია გამომცემლობა „კირჩხიბი“.

ბ) ვ. გაფრინდაშვილი. „დაისები“. ქუთაისი. 1919. ფასი 25 მანეთი.


„დაისები“ დაყოფილია ოთხ ნაწილად: I დაისები, II ორეულები, III ოფელიები, IV ამარსიფალი. ვ. გაფრინდაშვილი სრულიად თავისებური მწერალია ჩვენს

განსხვავდება „ყანწელების“ ჯგუფიდანაც კი, რომელთა შორისაც ისიც მუშაობს და ჩვენს ლიტერატურაში მას წინამორბედიც არა ყოლია.

თუ ვისიმე გავლენა ეტყობა გაფრინდაშვილს ისევ საფრანგეთის მწერლის სტ. მალარმესი.

გაფრინდაშვილის დაისები და ორეულები, სავსებით ორიგინალურია და უბრალო მკითხველისთვის მიუწდომელი.

საჭიროა მრავალჯერ და დაკვირვებით გადაიკითხო მისი ლექსები, რომ იგრძნო ავტორის ორეულებთან ბრძოლა, რომელიც დაისის მზგავს ნილაბით ფარავს ავტორის სულიერ ტკივილებს.



31

„იდიბოზ მეფე“-ს განზრახული დადგმა.

მ. ქორგლის ესკიზი.

კ რ ი ა ლ ო ს ა ნ ი

ვ. გაფრინდაშვილი	თეატრი ტიტანიკი	1
შ. დადიანი	ლადო მესხიშვილი	5
ს. ასლანიშვილი	ქართული პოეზია	15
ვ. გაფრინდაშვილი	Fata-Morgana	20
გ. გაფრინდაშვილი	კალიგულა, აშორდია და გაფრინ- დაშვილი	21
ბ. ჯაფარი	ციხფერი მესხა	22
შ. კარმელი	დანიშნული შვენება	22
ინ-რე-ჟან	თეატრში: პროვინციელის ლანდი	23
შ. აფხაიძე	ფიქრი სოფელზე	24
ი. ჭყონია	სინათლე და ლიანგი	25
ი. ყიფშიძე	გრიშაშვილის „საათნოვა“	27
მ. ბეჭელაძე	ბიბლიოგრაფიული შენიშვნები	29
შ. ჭიაურელი, მ. კლდელი	მხატვრობა	

32

ქრნალი დაიბეჭდა ქართველთა შორის წერა-კითხვის სტამბაში ქუთაისში.

ქრნალს აწყობდნ მ. გარსეშვილი და ვ. სოფროშვილის ასული

კლიშეები დამზადებულია სოლომონიანის და სუტჩიანის ლიტოგრაფიაში თფილისში

რედაქტორ-გამომცემელი სოლომონიანი ასლანიშვილი

რედაქციის მისამართი: ქუთაისი კათოლიკეების ქ. № 44.

m 391 2
1919